

აჭარის პრესა- ბათუმის ურბანოლექტის კვლევის წყარო გლობალურ ეკონომიკაში

DOI:10.36962/ECS107/3-5/2025-132

ფატიმა კახიძე

აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
E-mail: kakhidzefatima12@gtu.ge

რეზიუმე

ენობრივი სიტუაციის ლინგვისტური ბუნება მოიცავს სხვადასხვა სახის კონფიგურაციებს: იმავე ენის სხვადასხვა ფორმებს ან სხვადასხვა ენებს. ამ საფუძველზე გამოირჩევა ერთენოვანი და მრავალენოვანი ენობრივი სიტუაციები. ბათუმში არსებულ ენობრივ სიტუაციას ეს უკანასკნელი მოდელი შეესაბამება.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ბათუმის ურბანოლექტის კვლევის ძირითადი პრინციპები და დაზუსტებულია ის როლი, რომელიც აღნიშნული კვლევის პროცესში ეკისრება მედია საშუალებებს, კერძოდ, გაზეთ „ბათუმელს“. განხილულია გლობალური საინფორმაციო საშუალებების ენისა და რეგიონული მეტყველების, კერძოდ, ბათუმის ურბანოლექტის გავლენა გაზეთ „ბათუმელის“ ლინგვისტიკაზე (ლექსიკო-სემანტიკურ, ფრაზოლოგიურ, სტილისტურ, სინტაქსურსა და პრეცედენტულ დონეებზე). გაზეთ „ბათუმელის“ თემატიკა და მიზნობრივი აუდიტორია სპეციფიკურია. გარდა იმისა, რომ ის მოიცავს მთელ აჭარას, რომლის ცალკეულ სუბრეგიონებს სპეციფიკური ენობრივი გემოვნება აქვთ, გაზეთის ძირითადი მკითხველი მაინც ბათუმელები არიან, რომელთაც ბუნებრივი მოთხოვნები გააჩნიათ პუბლიკაციების სტილთან და ენობრივ იერსახესთან მიმართებაში. შესაბამისად, გარკვეული დაპირისპირება წარმოიშობა ენობრივ გემოვნებათა შორის, ვინაიდან ყოველი პიროვნება ან ჯგუფი თვლის, რომ პუბლიკაციის უშუალო ადრესატი ის არის. ამიტომ ავტორებმა მასთან კომუნიკაციის მისთვის მისაღები ენა უნდა გამოიარა. ბუნებრივია, სოფლის მოსახლეობას არ მოსწონს უცხოური ლექსიკური ერთეულების გამოჩენა პუბლიკაციებში, რაც მათ სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს. თავის მხრივ, ინტელექტუალურ მკითხველს არ მოსწონს პრიმიტიული, გამარტივებული ენა, რომლის ადრესატიც სოფლის მაცხოვრებელია, განსხვავებით მსოფლიოს საინფორმაციო გიგანტებისგან, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნისთვის ერთი და იმავე ინფორმაციის განსხვავებულ ვერსიებს ქმნიან, გამომდინარე მიზნობრივი აუდიტორიის გემოვნებიდან, გაზეთს უხდება მკითხველის ორ განსხვავებულ ტიპს შორის ლავირება, რაც პუბლიკაციათა სტილში პოულობს ასახვას.

საკვანძო სიტყვები: ურბანოლექტი, ურბანომენტალობა, კომუნიკაციური წრე, ენობრივ-კონტაქტური ველი, სამეტყველო კულტურა, პრეცედენტული ველი...

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაციის პროცესების ენობრივი უზრუნველყოფა პრინციპული ხასიათის საკითხია, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია კაცობრიობის განვითარების ტემპი. მისწრაფება, შეექმნათ ერთიანი საკომუნიკაციო ენა, კაცობრიობას საუკუნეების მანძილზე აწუხებდა და წარსულის ყველა იმპერიის მმართველის საფიქრალს წარმოადგენდა. ამის მიზეზია ის, რომ მრავალეროვან იმპერიულ სახელმწიფოებს, პირველ რიგში, საკონტაქტო ენა სჭირდებოდათ. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ფუნქციას ხან ბერძნული, ხან ლათინური, ხან არაბული, ხან სანსკრიტი და ა.შ. ენები ასრულებდნენ. საინტერესოა ისიც, რომ იმპერიებში ენა აღიქმებოდა პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად. უმეტეს შემთხვე-

ვაში იმპერიათა მესვეურნი ხშირად ძალადობრივ მეთოდებსაც მიმართავდნენ სატიტულო ენის გავრცელების მიზნით. მაგალითად, საქართველოსთან მიმართებაში ასეთი იყო რუსეთის იმპერიის (ხოლო შემდეგ საბჭოთა იმპერიის) ენობრივი პოლიტიკა, ისევე როგორც სხვა დაპყრობილ ქვეყნებში. ენობრივი გლობალიზაციისკენ მისწრაფების თავისებურ შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ იდეოლოგიური ექსპორტის შემთხვევები. იდეოლოგიური გლობალიზაციის თვალსაზრისით, ამის მაგალითია ლათინურისა და ძველი ბერძნულის როლი ქრისტიანულ სამყაროში, ხოლო არაბულისა - ისლამურში. ბუნებრივია, ეს ენები სერიოზულ როლს თამაშობდნენ შესაბამისი ქვეყნების განვითარების ისტორიაში, რასაც ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ აკრძალული იყო წმინდა ტექსტების ეროვნულ ენებზე თარგმნა. ამიტომაც, რომ შუა საუკუნეების ომების საფუძველი რელიგიური ომები იყო, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი მოთხოვნა იყო ნაციონალურ ენებზე ღვთისმსახურების აღსრულების უფლება. ამ თვალსაზრისით, უფრო კონსერვატიული აღმოჩნდა ისლამური სამყარო, რომელშიც, მიუხედავად სეპარატისტული ტენდენციებისა, ღვთისმსახურება ჯერაც არაბულ ენაზე მიმდინარეობს.

გლობალისტურმა ტენდენციებმა მეტნაკლები შედეგები გამოიღო, შეიქმნა გარკვეული კულტურული სივრცე, რომელიც ერთიან ღირებულებებზეა დაფუძნებული. ასე, მაგალითად, ევროპული საუნივერსიტეტო განათლების საფუძველს ლათინური ენა წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ როდესაც რუსეთმა მოინდომა ევროპული ტიპის უნივერსიტეტის შექმნა, მან ვერ შეძლო ჯეროვნად წარემართა სწავლება, ვინაიდან ლათინურის მცოდნე ევროპელი მეცნიერები ვერ ახერხებდნენ კონტაქტის დამყარებას ადგილობრივ სტუდენტებთან. ამის პასუხი იყო მ. ლომონოსოვის საუნივერსიტეტო რეფორმა, როდესაც მან მოსკოვში გახსნა უნივერსიტეტი, ხოლო სწავლების ენად რუსული დაამკვიდრა.

თანამედროვე სამყაროში ენობრივი გლობალიზაციის პროცესი რეპრესიული მექანიზმების გამოყენების გარეშე ხორციელდება, ვინაიდან ადამიანები კარგად აცნობიერებენ ერთიანი საკომუნიკაციო სივრცის დადებით მხარეებს. ამავდროულად, მათ შეიმუშავეს დამცავი მექანიზმები საკუთარი ქვეყნების ენობრივი სუვერენიტეტების დასაცავად, რაც ენობრივ უფლებათა დაცვის კონვენციაში არის ასახული.

გლობალიზაციის ენად ინგლისურის აღიარება განაპირობა ინფორმაციული რევოლუციის უალტერნატივო სვლამ, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით, სამყარო ერთიან „გლობალურ სოფლად“ აქცია, რომლის მაცხოვრებლები ერთმანეთთან გლობალური ქსელით არიან დაკავშირებული.

ეს მოკლე შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ უფრო ნათლად წარმოგვეჩინა ის სიტუაცია, რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოში, კერძოდ, ბათუმში მიმდინარე ენობრივ პროცესებთან, რომლებიც ქალაქელების მეტყველებაშიც იჩენს თავს.

ზოგადად ცნება სიტუაცია განიმარტება, როგორც მდგომარეობა, ვითარება, გარემოებათა ერთობლიობა. ნებისმიერი ურთიერთობა ტექსტის - დისკურსების შექმნა და აღქმა სოციალურ სიტუაციაში ხორციელდება. სოციალური გარემოებები კი განსაზღვრავენ ურთიერთობის ისეთი ტიპური სფეროების არსებობას, როგორიცაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-ისტორიული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საწარმოო, ადმინისტრაციულ-იურიდიული, საქმიანი, რელიგიური, ყოფითი და სხვა სფეროები. როგორც უკვე ითქვა, ეს წარმოშობს ურთიერთობის ფუნქციონალური სტილებისა და ჟანრების მრავალსახეობას. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ცვლილებები ინვევს ცვლილებებს მეტყველებასა და ურთიერთობაში. დისკურსების აქტუალური თემების შერჩევაში, ლექსიკაში, გამონათქვამებისა და ტექსტების სტრუქტურაში ზოგადი სოციალური სიტუაციისაგან უნდა გავმიჯნოთ ისეთი ქმედითი ნაწილი, რომელიც ინვევს მეტყველების წარმოქმნასა და მიმდინარეობას. დენოტატიური სიტუაციისაგან განსხვავებით, რომელიც წინადადების სემანტიკური სტრუქტურის ფორმირებას ახდენს, კომუნიკაციური სიტუაცია მთლიანობაში ურთიერთობის გარემოებებს, მის სტიმულებს, მონაწილეებს და ა.შ. ახასიათებს.

ენობრივი სიტუაციის ლინგვისტური ბუნება მოიცავს სხვადასხვა სახის კონფიგურაციებს: იმავე ენის სხვადასხვა ფორმებს ან სხვადასხვა ენებს. ამ საფუძველზე გამოირჩევა ერთენოვანი და მრავალენოვანი ენობრივი სიტუაციები. ბათუმში არსებულ ენობრივ სიტუაციას ეს უკანასკნელი მოდელი შეესაბამება.

მრავალენოვან ენობრივი სიტუაციებში ურთიერთობის კომუნიკაციური მოდელი პირველად რ. იაკობსონის მიერ იქნა შემოთავაზებული 1965 წელს. ეს არის კომუნიკაციური წრე, რომელშიც შედის კოდი: ადრესანტი - შეტყობინება - ადრესატი - კონტექსტი - კონტაქტი. იაკობსონის მიხედვით, ამ მოდელს შეესაბამება ენის ძირითადი ფუნქციები. შეტყობინება, რომელიც წარმოადგენს მისი ავტორის აზრების გამოხატულებას, განასახიერებს ექსპრესიულ ფუნქციას (გამოხატვის ფუნქციას); ადრესატზე ზემოქმედების მისწრაფება ჩნდება კონატიურ ფუნქციაში, შეტყობინება ენობრივი საშუალებებით მანიფესტირდება, რაც იაკობსონის მიხედვით, შეესაბამება პოეტურ ფუნქციას; შინაარსის გამოხატვის ინტენცია განასახიერებს რეფერენტულ ფუნქციას; შეტყობინებაში არსებული კონტაქტის ორგანიზაციის საშუალებები – ფატიკურ ფუნქციას გამოხატავენ, ხოლო ტექსტის სტრუქტურული ორგანიზაცია – მეტალინგვისტურ ფუნქციას.

კომუნიკაციური წრის მეთოდი საშუალებას იძლევა, ნათლად წარმოვიდგინოთ ბათუმის ურბანოლექტის მაკონსტრუირებელ ელემენტთა თანაფარდობა.

ნებისმიერი ერის, ეთნოსის, სუბეთნოსისა თუ სოციუმის კულტურა, ენა და მენტალობა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის, დივერგენციისა და კონვერგენციის მუდმივი და შეუქცევადი ხასიათის პროცესების შედეგად ყალიბდება. ამავე დროს კულტურათა შორის მიჯნა, როგორც ცნობილია, ყოველთვის გადის „ჩემსა“ და გარესამყაროს, „ჩემსა“ და „უცხოს“, „ჩემიანსა“ და „არაჩემიანს“ შორის დაპირისპირებაზე. ამიტომაც უაღრესად აქტუალურია ნებისმიერი, მათ შორის ქართული ლინგვომენტალური სამყაროს კვლევა წარიმართოს ინტრაკულტურული და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფაქტორების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქის, როგორც ერთიანი კომუნიკაციურ-ინტერაქციული ველის კვლევა, რადგან სწორედ აქ ხდება ეთნიკური, სუბეთნიკური და სოციალური ჯგუფების თანაცხოვრების, ენობრივ-კომუნიკაციური ჰარმონიზაციის, კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და კულტურათა დიალოგის მოდელების ფორმირება. ამავე დროს ქალაქი, როგორც ერთიანი კომუნიკაციურ-ინტერაქციული ველი, საქართველოში არ შესწავლილა. ამიტომაც გადაწყვიტეთ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა უაღრესად საინტერესო ფენომენის – ბათუმის ურბანოლექტის მაგალითზე, რადგან იგი ნამდვილად წარმოადგენს უნიკალურ კომუნიკაციურ-ინტერაქციულ ველს, რომელიც ეფუძნება განსხვავებულ კულტურათა და სხვადასხვა რელიგიურ, ეთნიკურ და ენობრივ ცნობიერებათა სინთეზს.

ქალაქის ენის შესწავლა საქართველოში სხვადასხვა ქალაქის მაგალითზე და სხვადასხვა რაკურსში წარიმართა (სამეცყველო სტილის, ენობრივი ნორმების, გენდერული სპეციფიკისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით), მაგრამ ჯერ ვერ მოხერხდა მისი სისტემურ მთლიანობაში განხილვა. ტერმინ „ურბანოლექტში“, რომელიც ჩვენ პროფ. დ. გოცირიძეს დავესესხეთ, ვგულისხმობთ საკვანძო ფასეულობათა ერთობლიობას, რომელიც ქალაქის მენტალობას განსაზღვრავს და მისი მაცხოვრებლების ცნობიერებაში აისახება. ბათუმის ურბანომენტალობა ვლინდება როგორც ქცევის სპეციფიკაში, ურთიერთობის კულტურაში, ღირებულებათა სისტემაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენას, რომელიც ქალაქის ეთნოსოციალური ურთიერთობის ასახვას წარმოადგენს.

განსხვავებით აჭარის სხვა ქალაქებისგან და რაიონებისგან, ბათუმს საკუთარი განუმეორებელი სახე აქვს, რომელსაც მისი მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შედგენილობა განსაზღვრავს. ბათუმი წარმოადგენს ეთნიკურ სუბკულტურათა სინთეზს, რომელიც თავისებურად აისახება მისი მცხოვრებლების სამეცყველო სპეციფიკაზე, რომელიც თავის მხრივ, დიალექტური სტიქიის შემოტევისაგან განიცდის. ბათუმის ურბანოლექტის ფორმირებაში მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო სივრცე, ენობრივ-კონტაქტური ველი, რომლის ფარგლებშიც ყალიბდება სამე-

ტყველო კულტურა. ქალაქის მეტყველების თავისებურებას ბათუმის მოსახლეობის სოციალური სტრატეგია (პროფესიული, გენდერული, ასაკობრივი და ა.შ.) და სოციოლინგვისტური სპექტრიც განსაზღვრავს (მეზღვაურთა ენა, მეზღვაურთა ენა, ახალგაზრდული ჟარგონი, ე.წ. „ბლატნოი“ ლექსიკა, სტუდენტური სლენგი, პატიმართა ენა და ა.შ.). ქვეყანაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად ქალაქში ბევრია აფხაზეთიდან ლტოლვილი, რომელთაც მეტყველების საკუთარი სტილი შემოიტანეს. ამას ემატება ეკომიგრანტები, რომელთაც ქალაქს დიალექტური ნაკადი შემატეს.

თუ ამას დავუმატებთ ტურისტულ ნაკადებს, რომლებიც აიძულებენ მოსახლეობას, აქტიურად გამოიყენონ საკონტაქტო ენები, ძირითადად, ინგლისური, რუსული, თურქული, თვალსაჩინო გახდება სამეტყველო სტიქიათა არაერთგვაროვანი ხასიათი, რომლებიც ქალაქის კომუნიკაციურ ველს ქმნიან. არ შეიძლება, არ აღინიშნოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზეგავლენის ფაქტორი. ელექტრონულ კომუნიკაციის სფეროში არსებული ბევრი სიტყვა და ფრაზა ინტერნეტის საშუალებით საკმაოდ მარტივად გადადის მომხმარებელთა სამეტყველო არსენალში და ხელშემწყობი ფაქტორების შემთხვევაში - ენაშიც. თავის მხრივ, ბათუმის ურბანოლექტიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მასში მცხოვრებლების კონსოლიდაციაზე, რაც გამოიხატება მათი ქართულენოვანი მეტყველების ფილტრაციაში და ბათუმელის ლინგვოპერსონოლოგიური მოდელის პრიორიტეტულობაში.

გარდა მეტყველების და ქცევის მანერისა, ბათუმელის მენტალობის შემადგენელია ე.წ. პრეცედენტული ველი. პრეცედენტულ მოვლენებში იგულისხმება ის ფონობრივი ინფორმაცია, რომელიც საერთოა კომუნიკანტათვის. ასე, მაგალითად, ბათუმელებისთვის პრეცედენტულია ტოპონიმი „ბალოტი“ ან „ბენზე“, განსხვავებით სხვა ქალაქელისგან, ვისაც ეს სიტყვები არ გაუგონია. პრეცედენტული პირების მოვლენების და ა.შ. ცოდნა თავისებური ტესტიცაა, რომელიც გამოარჩევს ბათუმელს არაბათუმელისაგან. პრეცედენტულ ფუნქციას ასრულებს აგრეთვე ბათუმური ფოლკლორი და პოსტფოლკლორი, მისი თემატიკა, პერსონაჟები, ვინაიდან ეს არის ქალაქის კოლექტიური ცნობიერების ნაწილი.

ქართულ ენათმეცნიერებაში თეთრ ლაქად რჩება ეროვნული ენის, მისი მაკონსტრუირებელი ქვესისტემების ურთიერთმიმართების საკითხი. განსხვავებით დიალექტებისგან, რომელთა შესწავლას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა, ნაკლები ყურადღება ექცევა ქალაქის კომუნიკაციური სტიქიის ანალიზს, არადა გლობალიზაციის ეპოქაში ურბანული ფენომენის ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამის მიზეზია ის, რომ კაცობრიობა ეძებს ადამიანურ ურთიერთობათა და კულტურათა ჰარმონიზაციის გზებს და ამ კუთხით ქალაქის, როგორც არაერთგვაროვან ეთნოსოციუმთა (დ. გოცირიძის ტერმინი) გადაკვეთის ადგილის, შესწავლას შეუძლია მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცეს. ქალაქის მაცხოვრებლების სამეტყველო თავისებურებები სწორედ ის რესურსია, სადაც მოიპოვება ემპირიული მონაცემები შემდგომი განზოგადებისთვის.

ქალაქური მეტყველების მრავალფეროვნება ყალიბდება სოციალურ ბაზაზე დაყრდნობით. ქალაქის მაცხოვრებელი, როგორც საერთო ეროვნული კომუნიკაციური ქმედების სუბიექტი, არის, ერთი მხრივ, მატარებელი საერთო ეროვნული ენისა და, მეორე მხრივ, საკუთარი ენობრივი სახესხვაობისა.

უნდა ითქვას, რომ ბათუმის ურბანომენტალობა და ბათუმური ურბანოლექტი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, ისევე როგორც მათი კორელატები: აზროვნება და ენა. სწორედ ენაში ვლინდება აზროვნება და სამყაროს აღქმა. სწორედ ენობრივი არჩევანი განაპირობებს არა მარტო პიროვნების კომუნიკაციურ სტილს, არამედ მის თვითიდენტიფიკაციას, ვინაიდან მეტყველების პროცესში ადამიანი ქვეცნობიერ დონეზე ითვალისწინებს თავისი ენობრივი ქმედების ზემოქმედებით პოტენციალს. ბათუმი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სპეციფიკური ლინგვოსოციუმი, რომლის სტრუქტურაში მიმდინარეობს სხვადასხვა ინდივიდუალურ და კოლექტიურ სტიქიათა ინტერაქცია, რომლის შედეგადაც ხდება ღირებულებათა მუდმივი გადაფასება და ახალი ნორმატიული პრინციპების მოძიება. ვფიქრობთ, რომ საკითხის ამგვარი დაყენება სრულიად

ახლებურად წარმოაჩენს ურბანოლექტების კვლევის მნიშვნელობას. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს პოლიკულტურულ გარემოში ჰარმონიული კულტურათშორისი ურთიერთობის მოდელის გამოვლენისა და შემუშავების პროცესს. ბათუმის, როგორც უნიკალური კომუნიკაციურ-ინტერაქციული ველის კვლევა, ამ თვალსაზრისით საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ (კულტურათშორისი კომუნიკაციის ქრილში) პეტეროგენულ კულტურათა ურთიერთობების პროცესში მტკიცეული წერტილებისა და ზონების გამოვლენა და განსხვავებული იდენტობების („ჩემისა“ და „უცხოს“) შეჯახების პროგნოზირება, რათა ამ მიმართულებით რეკომენდაციები შევიშუშავოთ.

ჩვენი კვლევის მიზანია აგრეთვე ბათუმის სოციალური ჟარგონის, ეთნოასოციაციური და პრეცედენტული ლექსიკის გამოვლენა, რაც საბოლოო ჯამში და სამომავლოდ ქართული ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის შედგენისათვის ნიადაგის მომზადებას შეუწყობს ხელს. ბათუმის ურბანოლექტის შესწავლა თავისი მასშტაბით სცდება ვიწრო ენობრივ პრობლემატიკას, რომელიც ერთ-ერთი და არა ერთადერთი ასპექტია აღნიშნული მოვლენისა. ურბანოლექტი მოიცავს ეთნო-ფსიქო-სოციო-ლინგვო-კულტუროლოგიურ განზომილებას, რომელიც ურბანომენტალობის შემადგენელი ნაწილებია.

ქალაქური მეტყველების მრავალფეროვნებას განსაზღვრავს როგორც მოსახლეობის სოციალური, ასევე ეთნიკური სტრუქტურა. ცალკეულ მაცხოვრებელს განსაკუთრებული მიმართება აქვს ქალაქის ენასთან, ვინაიდან იდიოლექტურ (ინდივიდუალური პიროვნების) ენის მახასიათებლებთან ერთად ისინი განიცდიან როგორც ლოკალური მეტყველების გავლენას, ასევე საერთო ლიტერატურულსა. როგორც წესი, მეტყველების სტილი იცვლება კომუნიკაციის პარტნიორიდან გამომდინარე. ერთი და იგივე პიროვნება სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში შეიძლება ირჩევდეს ან დიალექტურ ფორმებს, ან მიმართავდეს ლიტერატურულ მეტყველებას. მიუხედავად იმისა, რომ, თავისი ინტერნაციონალური შემადგენლობიდან გამომდინარე, ბათუმში საკომუნიკაციო ენად სხვადასხვა ენები გამოიყენება, ბათუმის ეთნოენობრივ პორტრეტს ქართული ენა ქმნის, რომელიც კონტაქტურ კულტურებთან ურთიერთობაში გარკვეულ გამოცდილებას იძენს ინტერკულტურული კომუნიკაციის სახით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბათუმი ერთიან ენობრივ ორგანიზმს წარმოადგენს, რომლის შიგნით მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც სხვადასხვა სახის ეთნიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორებით რეგულირდება. ბუნებრივია, ყველა იმ ფაქტორთა ერთობლიობა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არ შეიძლება ერთი კონკრეტული გამოკვლევის ჩარჩოში მოექცეს. პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა (ლინგვისტების, სოციოლოგების, ეთნოლოგების, ფსიქოლოგების, ისტორიკოსების და სხვ.) ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ამ მასშტაბურობამ არ უნდა გამოიწვიოს მისი იგნორირება. გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც იშლება მსოფლიოს ინფორმაციული საზღვრები და იქმნება ერთიანი საკომუნიკაციო სივრცე, ეთნიკურ კულტურათა გადარჩენის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა მათი ჯეროვანი პრეზენტაცია საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ინტერესს ურბანოლექტიკის მიმართ, რომელიც სოფლის ერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობისგან განსხვავებით, სრულიად განსხვავებულ ურთიერთობებს მოიცავს, რომელთა შედეგად იქმნება ქალაქის განუმეორებელი მენტალობა.

წინამდებარე სტატიაში აღნიშნული პრობლემის მხოლოდ ერთ ასპექტს განიხილავს - გლობალური საინფორმაციო საშუალებების ენისა და რეგიონალური მეტყველების, კერძოდ, ბათუმის ურბანოლექტის გავლენას გაზეთ „ბათუმელების“ ლინგვისტიკისტიკაზე (ლექსიკო-სემანტიკურ, ფრაზეოლოგიურ, სტილისტურ, სინტაქსურსა და პრეცედენტულ დონეებზე). გაზეთ „ბათუმელების“ თემატიკა და მიზნობრივი აუდიტორია სპეციფიკურია. გარდა იმისა, რომ ის მოიცავს მთელ აჭარას, რომლის ცალკეულ სუბრეგიონებს სპეციფიკური ენობრივი გემოვნება აქვთ, გაზეთის ძირითადი მკითხველი მაინც ბათუმელები არიან, რომელთაც ბუნებრივი მოთხოვნები გააჩნიათ პუბლიკაციების სტილთან და ენობრივ იერსახესთან მიმართებაში. შესაბამისად, გარკვეული დაპირისპირება წარმოიშობა ენობრივ გემოვნებათა შორის, ვინაიდან ყოველი პიროვნება

ან ჯგუფი თვლის, რომ პუბლიკაციის უშუალო ადრესატი ის არის. ამიტომ ავტორებმა მასთან კომუნიკაციის მისთვის მისაღები ენა უნდა გამოიხატონ. ბუნებრივია, სოფლის მოსახლეობას არ მოსწონს უცხოური ლექსიკური ერთეულების გამოყენება პუბლიკაციებში, რაც მათ სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს. თავის მხრივ, ინტელექტუალურ მკითხველს არ მოსწონს პრიმიტიული, გამარტივებული ენა, რომლის ადრესატიც სოფლის მაცხოვრებელია, განსხვავებით მსოფლიოს საინფორმაციო გიგანტებისგან, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნისთვის ერთი და იმავე ინფორმაციის განსხვავებულ ვერსიებს ქმნიან, გამომდინარე მიზნობრივი აუდიტორიის გემოვნებიდან, გაზეთს უხდება მკითხველის ორ განსხვავებულ ტიპს შორის ლავირება, რაც პუბლიკაციათა სტილში პოულობს ასახვას.

ბათუმელების ენობრივი გემოვნება ბათუმის ურბანოლექტში აისახება. ეს კი უშუალო კავშირშია იმ ძირითად კრიტერიუმებთან, რომელსაც ქალაქელი მკითხველი იყენებს გაზეთის ენობრივი სახის შეფასებისას.

გაზეთი „ბათუმელები“, მართალია, ცდილობს გაითვალისწინოს არაბათუმელი მკითხველის ენობრივი გემოვნება, ბუნებრივია, მაინც ლიტერატურულ ნორმაზე და ინტელექტუალურ მკითხველზეა ორიენტირებული, ამიტომ სოციოლინგვისტური თვალსაზრისით მისი გამოყენება ბათუმის ურბანოლექტის ემპირიულ ბაზად სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

საგაზეთო მეტყველების სტილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც სოციუმის ენობრივ გემოვნებას განსაზღვრავს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ გაზეთი, თავის მხრივ, ცდილობს თავის პუბლიკაციებში გაითვალისწინოს პოტენციური ადრესატის ლინგვისტური პრიორიტეტები, უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი „მიმიკრია“ მნიშვნელოვნად ზრდის ემპირიული მასალის სანდოობას. ბუნებრივია, არსებობს ბათუმის ურბანოლექტის ენობრივი მხარის კვლევის სხვა წყაროებიც, ისეთი, როგორიცაა სოციალური, გენდერული, პროფესიული, ახალგაზრდული და ა.შ. ჟარგონები, მაგრამ ენობრივი პროცესების შედეგების გამოვლენის თვალსაზრისით, მაინც უპირატესობა მივანიჭებთ საგაზეთო სტილს, რომელიც ასახავს ყველა სოციოლინგვისტურ პარამეტრს, ვინაიდან არც თემატიკით და არც გამოხატვის ფორმით არ არის შეზღუდული.

ამრიგად, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ბათუმის ურბანოლექტის კვლევის ძირითადი პრინციპები და დავაზუსტეთ ის როლი, რომელიც აღნიშნული კვლევის პროცესში ეკისრება მედია საშუალებებს, კერძოდ, გაზეთ „ბათუმელებს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუტუბიძე ბ.. 2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები, 2006.
2. კახიძე ფ., ქართული პრესა და სალიტერატურო ენის ნორმები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო-საარქივო სამმართველო. „არხეონი“, XI, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2016. ISSN 2233-3541.
3. ჭედია ბ. მასმედიის როლი ტრანსფორმირებად სამყაროში, დისერტაცია, თბ., 2009.
4. Rantaten, T. The media and globalization. Thousand Oaks, CA: Sage. 2006

REFERENCES:

1. Kutubidze B., Main socio-political Aspects of Georgian Press in 2000-2005, 2006.
2. Kaxidze F. Georgian press and the Norms of the literary language. Sub-departmental-Archival office of the Government of the Autonomous Republic of Adjara. "Arkheoni", XI, Publishing House "Universali", Tbilisi, 2016, ISSN 2233-3541;
3. Chedia B. The role of mass Media in a Transforming World, Disertation, Tbilisi 2009;
4. Rantaten, T. The media and globalization. Thousand Oaks, CA: Sage. 2006

ADJARA PRESS AS A SOURCE FOR RESEARCH ON BATUMI URBANOLECTS IN GLOBAL EPOCH

Fatima Kakhidze,

Academic Doctor, Georgian Technical University,

E-mail: kakhidzefatima12@gtu.ge

RESUME

Generally, the linguistic nature of the language situation includes various configurations: different forms of the same language or different languages. On this basis, monolingual and multilingual language situations are distinguished. The latter model corresponds to the linguistic situation in Batumi.

The paper establishes the basic principles of the study of the Batumi urban dialect and clarifies the role that the media, in particular the newspaper “Batumelebi”, play in the process of this study. The influence of the language of global information media and regional speech, in particular the Batumi urban dialect, on the linguostylistics of the newspaper “Batumelebi” (at the lexical-semantic, phraseological, stylistic, syntactic and precedent levels) is discussed. The topic and target audience of the newspaper “Batumelebi” are specific. In addition to the fact that it covers the whole of Adjara, the individual subregions of which have specific linguistic tastes, the main readers of the newspaper are still Batumi residents, who have natural requirements for the style and linguistic appearance of publications. Accordingly, a certain conflict arises between linguistic tastes, since each person or group believes that the direct addressee of the publication is him. Therefore, the authors must find a language acceptable to him for communication. Naturally, the rural population does not like the appearance of foreign lexical units in publications, which causes them serious irritation. On the other hand, an intellectual reader does not like primitive, simplified language, the addressee of which is a rural peasant. Unlike the world’s information giants, which create different versions of the same information for different countries, depending on the tastes of the target audience, the newspaper has to maneuver between two different types of readers, which is reflected in the style of the publications.

Keywords: Urban dialect, Urban mentality, Communicative circle, Linguistic-contact field, Speech culture, precedent field.